საკონკურსო წინადადება

თარიღი: 24 ივნისი 2011წ.

ვის: შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო

ვისგან: შპს "ლ.დ.იუნიონ"

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკის და განძის, ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებთან მიმდებარე, დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის წარმოდგენა და შემდგომში, გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევა შემდეგ ფასად: **3000 (სამიათასი) ლარი**

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ აღნიშნული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ ხელშეკრულება) ძალაში შესვლიდან 7 **დღის** განმავლობაში..

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია 30 (ოცდაათი)დღის განმავლობაში დაწყებული შემდეგი თარიღიდან: 24 ივნისი 2011წ.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონსა "სახელმწიფოს შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულებას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 მარტის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

შპს "ლ.დ.იუნიონ"-ის დირექტორი: ლ.დიდიძე

საქართველო. შპს "ლ.დ. იუნიონ" • GEORGIA "L.D. UNION" LTD • 205246517

გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერა

შპს "ლ.დ.იუნიონ"-ი გთავაზობთ, გორელოვკის, განძის და ბარალეთის პოლიციის ადმინისტრაციული შენობების ეზოს კეთილმოწყობის და დამხმარე ნაგებობის საპროექტო დოკუმენტაცია, ჩამოყალიბდეს შემდეგი კონცეფციით:

1. **ეზოების შემოღობვის პროექტი**, სადაც განხილული იქნება:

1.1. ღობის განთავსება გენერალურ გეგმაზე ჰორიზონტალური მიბმის ჩვენებით ადმინისტრაციულ შენობასთან. შესასვლელი სამანქანო და საფეხმავლო ღიობების ჩვენებით;
ამავე ნახაზზე განხილული იქნება ღობის ტიპიური სექციების მარკირება;

1.2. ღობის ტიპიური სექციების ნახაზები მასალების სპეციფიკაციებით;

1.3. სამანქანო და საფეხმავლო შესასვლელების ნახაზები მასალების სპეციფიკაციების ჩვენებით;

1.4. ღობის განათების სქემები;

2. **ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი**, სადაც განხილული იქნება:

2.1. კეთილმოწყობის გეგმები საფარის ტიპების ჩვენებით;

2.2. საფარის ტიპების ჭრილები და მათი სპეციფიკაციები;

2.3. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების ნახაზები;

3. **დამხმარე ნაგებობის პროექტი (სამეურნეო დანიშნულების)** , სადაც განხილული იქნება:

3.1. დამხმარე ნაგებობის არქიტექტურული დაკვალვითი გეგმა;

3.2. არქიტექტურული ჭრილი;

3.3. ფასადები;

3.4. დამხმარე ნაგებობის კონსტრუქციული ნახაზები;

3.4. დამხმარე ნაგებობის ელ. მომარაგების ნახაზები;

4. **გათბობის შიდასამოედნო ქსელის პროექტი**, სადაც განხილული იქნება:

4.1. თბოქსელის ტერიტორიაზე განთავსების ნახაზი ადმინისტრაციულ შენობასთან მიბმით, ტრანშეის ჭრილი;

4.2. სითბოთი მომარაგების კვანძის სქემა (განთავსდება დამხმარე ნაგებობაში);

4.3. სამუშაოთა მოცულობების სპეციფიკაციები;

5. **შიდასამოედნო და გარე სანტექნიკური ქსელების პროექტი**, სადაც განხილული იქნება:

5.1.. კანალიზაციის შიდასამოედნო და გარე ქსელების გეგმები;

5.2. კანალიზაციის შიდასამოედნო და გარე ქსელების პროფილები ტრანშეების ჭრილების ჩვენებით;

5.3. გამწმენდი ნაგებობის ნახაზები;

5.4. წყალსადენის შიდასამოედნო და გარე ქსელების გეგმები;

5.5 ცივი წყლით მომარაგების კვანძების (სატუმბი სადგურები) სქემები;

5.6. სამუშაოთა მოცულობების სპეციფიკაციები;

6. **ელ. მომარაგების გარე და შიდასამოედნო ქსელების პროექტი,** სადაც განხილული იქნება:

6.1. შიდასამოედნო და გარე ელ. ქსელების გეგმები;

6.2. ტრანშეების ჭრილები;

6.3. სამუშაოთა მოცულობების სპეციფიკაციები;

7. **სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია,** სადაც განხილული იქნება:

7.1. ეზოების შემოღობვის ხარჯთაღრიცხვა;

7.2. ტერიტორიის კეთილმოწყობის ხარჯთაღრიცხვა;

7.3. დამხმარე ნაგებობის ხარჯთაღრიცხვა;

7.4. გათბობის შიდასამოედნო ქსელის ხარჯთაღრიცხვა;

7.5. შიდასამოედნო და გარე სანტექნიკური ქსელების ხარჯთაღრიცხვა;

7.6. ელ. მომარაგების გარე და შიდასამოედნო ქსელების ხარჯთაღრიცხვა;

7.7 ნაკრები ხარჯთაღრიცხვა;

საქართველო. შპს "ლ.დ. იუნიონ" • GEORGIA. "L.D. UNION" LTD • 205246517